საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

გამგეობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2025 წელი • საერთო კრება: 30 მაისი, 2026

მოგესალმებით ბაფის პატივცემულო წევრებო, კოლეგებო, მოწვეულო სტუმრებო!
გმადლობთ საიუბილეო კონფერენციასა და დღევანდელ საერთო კრებაში მონაწილეობისთვის. ბაფის 30 წლიანი ისტორია შეიქმნა მისი მრავალრიცხოვანი წევრების, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით. გამგეობისთვის დიდი პატივია მივულოცოთ ჩვენი ორგანიზაციის დამფუძნებლებს, ყველა წევრსა და გულშემატკივარს ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

ნება მოგვეცით ბაფის დამფუძნებლებს, ყველა პერიოდის ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას დავუდასტუროთ უღრმესი პატივისცემა ბაფის ისტორიის შექმნაში გაწეული ღვაწლისათვის. მათი ერთგულებით, ბაფმა გამორჩეული როლი შეასრულა პროფესიაში განხორციელებულ რეფორმებში და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებაში ქვეყანაში.

პატივის მიგება

პირველ რიგში, გავიხსენოთ და წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ბუღალტერთა კლუბის გარდაცვლილ დამფუძნებლებს და ბაფის :

† დუჩიძე მალხაზი	*† ზაკუტაშვილი ბიჭიკო*
† ბაზაძე ნათელა	*† ჭილაძე იზოლდა*
† კალანდაძე მარიკა	*† ჟღენტი თამარი*
† მალაშხია ნატა	*† ებანოიძე ნოდარი*
† ბატაშვა მარია	*† გელაძე ნანა*
† გობეჯიშვილი გრიგოლი	

30 წლიანი საქმიანობის რეზიუმე

ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები, რომლებმაც განაპირობეს ბუღალტრული პროფესიის სისტემური განვითარება საქართველოში.

საკანონმდებლო და სტანდარტიზაციის სფერო

- კანონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" — 1999 წ.
- კანონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" — 2012 წ.
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აღიარდა ეროვნულ სტანდარტებად — 1999 წ.
- მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები — 2004 წ.
- არაკომერციული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი — 2006 წ.
- მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები — 2014 წ.

ინსტიტუციური განვითარება

- შვილობილი კომპანია "ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა" — 1996 წ.
- "პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი" — 2003 წ.
- IFAC-ის (ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია) ნამდვილი წევრი — 2000 წ.
- ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია "ევრაზია" დაფუძნდა
- კერძო სექტორის პროფესიის მარეგულირებელი ორგანო — 2012–2016 წ.წ.

განათლება და სერტიფიცირება - 30 წლის შედეგები

30 000+	ბუღალტერი გადამზადდა IFRS-ის სტანდარტებით
2 500	მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე

788	პირმა მოიპოვა პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი
10 000	კანდიდატი მიმდინარე სერტიფიცირების პროგრამაში
13	ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
1998 წ.	პროფესიული სერტიფიცირების დამკვიდრება
2003 წ.	ACCA პროგრამა აღიარდა სერტიფიცირების პროგრამად

გამგეობის საქმიანობა — 2025 წელი

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ ჩაატარა 8 სხდომა. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო 2024 წლის საერთო კრების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და სხვა აქტუალური საკითხების განხილვა-დამტკიცებას.

IFAC-ის წევრობის ვალდებულებები

სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშგების სფეროში (SMO 5) გაძლიერდა თანამშრომლობა სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტთან. ჩართულობა განხორციელდა ბაფის გამგეობის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის მეშვეობით.

ეთიკის და დისციპლინარული მოკვლევის სფეროში (SMO 6) ბაფის შესაბამისმა კომიტეტმა მოამზადა ნორმატიული ბაზის ცვლილებების პროექტი, რომელიც მიეწოდა ზედამხედველობის სამსახურს. მიმდინარეობს შეჯერების პროცესი.

IFAC-ის წარმომადგენლებთან ონლაინ კომუნიკაცია გაგრძელდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის არასავალდებულო აუდიტის კომპანიების მონიტორინგის დელეგირების საკითხზე.

თანამშრომლობა ზედამხედველობის სამსახურთან

ტრადიციულად გაგრძელდა თანამშრომლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან. ბაფმა კონსოლიდირებული მოსაზრებები მიაწოდა შემდეგი ნორმატიული პროექტების შეჯერებისას:

- სანქციის სახის/ოდენობის განსაზღვრისა და სანქციის დაკისრების წესი
- გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის შეგენისა და გამოქვეყნების წესი
- აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესი
- არასავალდებულო აუდიტის მონიტორინგის ჩატარების უფლების დელეგირება პროფესიულ ორგანიზაციებზე

ბაფის ინიციატივით მომზადდა და ზედამხედველობის სამსახურს საკანონმდებლო ცვლილების ინიციირება და ზედამხედველობის სამსახურს ეთხოვა:

- პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარების წესის ცვლილება
- პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის დისციპლინური პასუხისმგებლობის წესის ცვლილება
- მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის ჩარჩოს კონცეფციის პროექტის განხილვა
- "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონის მე-10 და მე-11 მუხლებში ცვლილებები

საერთაშორისო თანამშრომლობა

ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA) — ნიუქასლი, 2025

2025 წლის სექტემბერში ნიუქასლში გაიმართა ბაფის ოფიციალური ვიზიტი AIA-ში — ბრიტანული მხარის ინიციატივით. ვიზიტის შედეგად ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

> მემორანდუმის ძირითადი მიმართულებები:
>
> - პროფესიული განვითარება — ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები

- ტექნიკური თანამშრომლობა — კვლევები, საუკეთესო პრაქტიკა, მასალების გაზიარება
- ინსტიტუციური გაძლიერება — ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება
- ადვოკატირება — პროფესიის პოპულარიზაცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე
- ციფრული ტრანსფორმაცია — ინოვაციური ინსტრუმენტების გაზიარება
- კვალიფიკაციის ურთიერთაღიარება — მექანიზმების მოძიება

ვიზიტს წინ უძღოდა AIA-ს დამოუკიდებელი შეფასება (Due Diligence) IFAC-ში AIA-ს წევრობის განაცხადის ფარგლებში, რომელიც ბაფმა სპონსორი ორგანიზაციის სტატუსით განახორციელა. შეფასება ჩატარდა ექსპერტ იური დოლიძის ჩართულობით.

ვიზიტს წარმოადგენდნენ: ლევან საბაური (გამგეობის თავმჯდომარე), ლევან კანკავა (PwC საქართველო, ბაფის ნამდვილი წევრი) და ლავრენტი ჭუმბურიძე (აღმასრულებელი დირექტორი).

მსოფლიო ბანკის ფარგლებში — ვენა, 29 ნოემბ. – 2 დეკ. 2025

ბაფის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვენაში გამართულ სემინარებში, სადაც 150-მდე დელეგატი შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნიდან. სემინარი ორიენტირებული იყო ფინანსური და მდგრადობის ანგარიშგებისა და საჯარო/კერძო სექტორის აუდიტის სიახლეებზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა სერტიფიცირება

საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო "მსბ ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ" ბაფის დებულების ამოქმედება.

პრობლემის არსი: ქვეყანაში არ არსებობდა კომპეტენციის ერთიანი სტანდარტი მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისთვის, რაც აფერხებდა ფინანსური ანგარიშგების ხარისხს. ბაფმა ამ გამოწვევაზე მუშაობა 2022 წლიდან დაიწყო.

2022–2024 წლებში, პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის მონაწილეობით, შეიქმნა: კომპეტენციის ერთიანი სტანდარტი, სახელმძღვანელოები, საგამოცდო ცნობარი, სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრი და განგრძობითი სწავლების პროგრამები.

2025 წლის შედეგები - მსბ სერტიფიცირება:

- 2025 წ. მარტიდან - პროგრამა ამოქმედდა (თბილისი და რეგიონები)
- 2 სერტიფიცირების გამოცდა ჩატარდა საანგარიშო პერიოდში
- 103 სერტიფიცირებული პირი რეგისტრირებულია მოქმედ რეესტრში
- 2026 წ. ივნისი - მომდევნო გამოცდები დაგეგმილია

განათლება, სერტიფიცირება და წევრთა მხარდაჭერა

პროფესიული სერტიფიცირება — 2025

352	ახალი კანდიდატი ჩაერთო პროგრამაში
962	კანდიდატი გავიდა გამოცდებზე
58	პირველი ეტაპის სერტიფიკატი მოიპოვა
20	მეორე დონის სერტიფიკატი მოიპოვა
25	სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა
4	პირმა მოიპოვა აღიარების სერტიფიკატი

განგრძობითი განათლება — 2025

2025 წლის განგრძობითი სწავლება განხორციელდა ორი პროგრამით: (1) აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირებისთვის და (2) სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრში რეგისტრირებული (არააუდიტორი) პირებისთვის. სემინარები ჩატარდა ონლაინ ფორმატით, 22 სექტემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით.

აუდიტორთა რეესტრი — 326 პირი

- მოთხოვნა დაადასტურა — 323 პირი
- ბაფის სემინარი გაიარა — 296
- კომპანიის სწავლება ჩაეთვალა — 23
- სხვა ორგანიზაციის სწავლება ჩაეთვალა — 3
- მოთხოვნა ვერ დაადასტურა — 4

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრი — 435 პირი

- მოთხოვნა დაადასტურა — 315 პირი (108 — აუდიტ. პროგ.; 187 — ბუღ. პროგ.)
- სწავლება არ მოეთხოვებოდა — 14 პირი
- მოთხოვნა ვერ დაადასტურა — 120 პირი
- ბოლო 3 წლის ვერდადასტურების გამო რეესტრიდან ამოღებულია — 9 პირი

თემატური სემინარები — 10 სემინარი, 30 საათი

- მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრა დღგ-ის მიზნებისთვის
- დღგ-ის მეთოდური მითითების განხილვა
- პროფესიული ეთიკა — ბესსს ეთიკის კოდექსი
- საინვესტიციო ქონების აღრიცხვა (მსს ფასს)
- იჯარის აღრიცხვა — მსს ფასს და მე-4 კატეგორიის საწარმოების ფას
- დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში
- საგადასახადო კანონმდებლობის 2024–2025 წ.წ. ცვლილებების მიმოხილვა (ნაწ. I და II)
- არარეზიდენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

რეგიონული საქმიანობა

RSMEDP — მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტი

2022–2024 წლებში ბაფს ჰქონდა თანამშრომლობის მემორანდუმი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) RSMEDP პროექტთან - 5 რეგიონში

(კახეთი, იმერეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი) ფინანსური საკონსულტაციო სერვისების მიწოდებისთვის.

2025 წლის სექტემბრიდან, დონორების დადებითი შეფასების შედეგად, გაფორმდა ახალი ხელშეკრულება - საქმიანობა გაიშალა რაიონულ ცენტრებამდე. ძირითადი ბენეფიციარები: მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები.

სამუშაო შეხვედრა ქვემო ქართლში - 26 სექტემბერი, 2025

რუსთავში ჩატარდა ბაფის საქმიანი შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესისა და პროფესიის წარმომადგენლებთან. განიხილეს ბუღალტრული და საგადასახადო სფეროს სიახლეები, ასევე ბაფის ფილიალის გაძლიერებისა და რეგიონული საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობები.

საქმიანობის მართვა და ფინანსური შედეგები

ბაფის საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა, რომელიც ახდენს ბიუჯეტის შედგენასა და ფინანსური ფუნქციების შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის, ბაფის წესდებისა და გამგეობის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ძირითადი დასკვნები:

- 2025 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა და ბაფის საქმიანობის აუდიტი ჩატარდა
- განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან
- ბაფის ფინანსური სტაბილურობასა და ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში საფრთხე არ ემუქრება
- ფინანსური ანგარიშგება IFAC-ს გაეგზავნება 2026 წ. აგვისტომდე (ინგლ. თარგმანთან ერთად)
- ანგარიშგება განთავსდება: baf.ge → "საქმიანობის ანგარიშები"
- 2026 წლის ბიუჯეტი: baf.ge → "საქმიანობის ანგარიშები"

2026 წლის სამოქმედო პრიორიტეტები

2026 წლის 30 მაისის საერთო კრებამ დაამტკიცა შემდეგი სამოქმედო პრიორიტეტები:

- IFAC-ის წევრობის ვალდებულების შესაბამისად დამტკიცებული გეგმის განახლება და კომუნიკაცია სხვადასხვა მიმართულებით
- პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა
- წევრებთან შეხვედრები, განათლება და პროფესიული მხარდაჭერა
- პროფესიით დაინტერესებული მხარეებთან თანამშრომლობის გაფართოება

ბაფი - 30 წელი · 1995–2025

baf.ge